



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
რიგგარეშე საერთო კრების ოქმი**

3 თებერვალი, 2019 წელი

კრების ჩატარების ადგილი:

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჭავჭავაძის გამზირი N1, თბილისი**

დღის წესრიგი:

1. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა;
2. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევებისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გამწესების პროცესთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე მსჯელობა;
3. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების შესახებ ადვოკატთა საერთო კრების რეზოლუციის მიღება;
4. საერთო კრების შეჯამება.

წევრთა რეგისტრაცია

წევრთა რეგისტრაცია დაიწყო 10 საათზე და კრების გახსნის დროს 11:00 საათისთვის რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 402 ადვოკატი. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქვორუმის არარსებობის გამო თავმჯდომარემ გამოაცხადა ხელახალი რეგისტრაცია განმეორებითი საერთო კრებისათვის, რომელიც დაიწყო 11 საათსა და 15 წუთზე და 12 საათისთვის რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 403 ადვოკატი. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 24-ე მუხლი 1-ლი პუნქტის თანახმად, ქვორუმის არსებობის საფუძველზე კრება უფლებამოსილია იმსჯელოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

12 საათსა და 30 წუთზე საერთო კრება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის - დავით ასათიანის მისასალმებელი სიტყვით.

საკითხი 1. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა

კრების რეგლამენტის თანახმად, კრებაზე დამსწრე ადვოკატებიდან დასახელდნენ ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატები: 1.დავით გირგვლიანი, 2.თამთა აშორტია, 3.სალომე ბეჟაშვილი, 4.ნათია თავზარაშვილი, 5.მამუკა ჭუმბაძე, 6.ნათია ბერიშვილი, 7.ნინო მელაძე, 8.დავით ჭიკაიძე, 9.ალექსანდრე ამაშუკელი, 10.დავით მუმლაძე, 11.ქეთევან გელაშვილი, 12.ალიკო დადიანი, 13.თანდილა ჯოლოგუა, 14.ბექა ხოხობაშვილი, 15.თამთა დევდარიანი.

მოცემულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, კრებამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი, შემდეგი შემადგენლობით: 1.დავით გირგვლიანი 2.თამთა აშორტია 3.სალომე ბეჟაშვილი 4.ნათია თავზარაშვილი 5.მამუკა ჭუმბაძე 6.ნათია ბერიშვილი 7.ნინო მელაძე 8.დავით ჭიკაიძე 9.ალექსანდრე ამაშუკელი 10.დავით მუმლაძე 11.ქეთევან გელაშვილი 12.ალიკო დადიანი 13.თანდილა ჯოლოგუა 14.ბექა ხოხობაშვილი 15.თამთა დევდარიანი.

ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თამთა დევდარიანი.

საკითხი 2. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევებისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გამწესების პროცესთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე მსჯელობა

თავმჯდომარემ მიმართა კრების მონაწილეებს, რომ სიტყვით გამოსვლის სურვილის შემთხვევაში, კრების რეგლამენტის თანახმად, მათ საშუალება ჰქონდათ 3 წუთის განმავლობაში ესაუბრათ ზემოთ აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი ადვოკატთა ასოციაციის წევრები: 1.ნანული დარსანია, 2.ონისე მარგიანი, 3.მარიამ წერეთელი, 4. ზაზა ხატიაშვილი, 5. დავით ხარატი, 6.ზურაბ ვანიშვილი, 7.ქეთევან გელაშვილი, 8.ელგუჯა ჩხაიძე, 9.დავით ებრაელიძე, 10.დავით ჯაფარიძე, 11.თემურ გოგსაძე, 12.მურმან ქამადაძე, 13.გიორგი ბარდაველიძე, 14.ალექსანდრე მეკვიძე, 15.ბექა ხოხობაშვილი, 16.მერაბ ცუხიშვილი, 17.კახა კოჟორიძე, 18.ალექსი კობაიძე, 19.კობა კობახიძე, 20.ნუგზარ ბირკაია, 21.ირმა ჭკადუა, 22. ხათუნა გრიგალაშვილი, 23.გრიგოლ გაგნიძე, 24.ირაკლი გაბრიჭიძე, 25.ვახტანგ მჭედლიშვილი, რომლებმაც მიმოიხილეს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევები და ისაუბრეს აღნიშნული პრობლემების მოგვარების გზებზე.

გამომსვლელთა სიტყვით გამოსვლის პროცესი წარიმართა საერთო კრების რეგლამენტის მე-4 მუხლის, 4.1.2 პუნქტით დადგენილი წესის დაცვით.

საკითხი 3. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების შესახებ ადვოკატთა საერთო კრების რეზოლუციის მიღება

თავმჯდომარემ კრებაზე დაინტერესებულ ადვოკატებს და აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მოუწოდა შეკრებილიყვნენ კრების სამდივნოსთან და ერთობლივად შეემუშავებინათ რეზოლუციის პროექტი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების შესახებ, რის გამოც გამოცხადდა შესვენება 30 წუთით.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარემ განაახლა კრების მიმდინარეობა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო წევრთა მიერ შედგენილი რეზოლუციის პროექტი. ამასთან მოუწოდა კრებაზე დამსწრე წევრებს სურვილის შემთხვევაში გამოეთქვათ დამატებითი მოსაზრებები შემუშავებულ რეზოლუციას პროექტთან დაკავშირებით.

კრებაზე დამსწრეთაგან სიტყვით გამოსვლის სურვილი გამოთქვა ასოციაციის წევრმა კახა კოჟორიძემ, რომელმაც სიტყვით გამოსვლისას განმარტა, რომ არსებობს არასამათავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ შედგენილი პეტიცია მართლმსაჯულების გადასარჩენად, შესაბამისად მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ რეზოლუციაში აისახოს და დამატებით განისაზღვროს პუნქტი, რომ აღნიშნული რეზოლუცია იზიარებს და უერთდება პეტიციაში მითითებულ მოთხოვნებს.

კრების თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრე წევრებს, რომ ასოციაციის წევრი კახა კოჟორიძეს ინიციატივა პეტიციასთან მიერთებისა და რეზოლუციის ტექსტში ცვლილებების შეტანის თაობაზე დაეყენებინათ ღია კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად - 14 მომხრე, დანარჩენი წინააღმდეგი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საერთო კრებაზე შემუშავებული რეზოლუციის პროექტი დარჩეს უცვლელად და არ იქნას გაზიარებული რეზოლუციის ტექსტში შესატანი ცვლილება პეტიციაში მითითებული მოთხოვნების გაზიარების თაობაზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი რეზოლუციის პროექტის მიღების თაობაზე, წევრთა მიერ საერთო კრებაზე შემუშავებული სახით. აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების შესახებ ადვოკატთა საერთო კრების რეზოლუციის მიღების საკითხზე ჩატარებული ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 391, წინააღმდეგი -1, თავი შეიკავა 1-მა ადვოკატმა) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

მიღებულ იქნას სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების შესახებ ადვოკატთა საერთო კრების რეზოლუცია (დანართი N1).

საკითხი 4. საერთო კრების შეჯამება.

კრების თავმჯდომარემ შეაჯამა საერთო კრებაზე განხილული საკითხები და აღნიშნა, რომ წევრთა მიერ შემუშავებული რეზოლუცია გაეგზავნება საქართველოს პარლამენტს. ასევე, აღნიშნა, რომ საკითხები განხილულ იქნა ასოციაციის წესდებისა და აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვარს დამტკიცებული საერთო კრების რეგლამენტის შესაბამისად.

ამასთან, დაინტერესებულ ადვოკატებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კრების დასრულების შემდეგ ასოციაციის თბილისისა და რეგიონული კომიტეტების თავმჯდომარეები წარადგენდნენ კომიტეტების 2018 წლის საქმიანობის ანგარიშს და სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ დაესწრონ აღნიშნულ ღონისძიებას.

16 საათზე კრების თავმჯდომარის მიერ კრება დახურულად გამოცხადდა.

დანართი N1. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების შესახებ 2019 წლის 3 თებერვლის ადვოკატთა საერთო კრების რეზოლუცია.

დავით ასათიანი

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის თავმჯდომარე**



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების რეზოლუცია
სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების თაობაზე

თბილისი, 03 თებერვალი, 2019

ვაცხოველებით რა ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელობას სამართლის უზენაესობის დამკვიდრებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების პროცესში;

ვითვალისწინებთ, რომ 2012 წლამდე სასამართლო სისტემის მმართველი რგოლი შერწყმული იყო აღმასრულებელი ხელისუფლების რეპრესიულ პოლიტიკისთან, რამაც, მათ შორის, დაუშვა ქვეყანაში შერჩევითი სამართალი, გამამტყუნებელი განაჩენების უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელი, პოლიტიკური ნიშნით პირთა დაპატიმრება და პროფესიული საქმიანობის გამო ადვოკატთა მასშტაბური დევნა;

ვწუხვართ, რომ 2012 წლის შემდეგ, მართლმსაჯულების სფეროში გატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაგრძელებული დაუსაბუთებელი და არამართებული გადაწყვეტილებების მიღება, რამაც კიდევ უფრო შეასუსტა სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა, რის კულმინაციასაც წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნომინირების თაობაზე დაჩქარებული, არაგამჭირვალე, ტენდენციური და წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილების მიღება;

აღვნიშნავთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში სასამართლო ყალიბდება დახურულ სისტემად, სადაც ადვოკატების და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლების სამოსამართლო თანამდებობებზე გამწესების მაჩვენებელი მიზერულ ნიშნულამდეა დაყვანილი, რაც არ შეესაბამება სასამართლო სისტემის გაძლიერების მიზნებს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნომინირების ფორმამ, პროცესმა და ნომინირებულ კანდიდატთა წინააღმდეგობრივმა სიამ, სასამართლოს საბოლოოდ დახურულ სისტემად ჩამოყალიბების რეალური საფრთხე შექმნა;

მიგვაჩნია, რომ სასამართლო სისტემაში ჩამოყალიბებული მმართველობის მანკიერი ფორმა, სისტემის ხელმძღვანელობითი პოზიციების ვიწრო და ურთიერთდაკავშირებული ჯგუფის ხელში კონცენტრაცია, თვითმმართველობის დაბალი ხარისხი და

ინდივიდუალური მოსამართლის როლის უგულვებელყოფა მნიშვნელოვნად აზიანებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობას;

ვინაიდან, უზენაესი სასამართლოს, როგორც დოქტრინალურ საკასაციო ინსტანციას, განსაკუთრებული როლი აქვს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების განმტკიცების, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში;

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა რიგგარეშე საერთო კრება მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს:

(ა) უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის იმგვარი რეფორმა, რომლითაც შეიზღუდება თანამდებობრივი პოზიციების მქონე მოსამართლეთა საბჭოს წევრად არჩევის შესაძლებლობა, ხოლო საბჭოს არამოსამართლე წევრებად სავალდებულო კვოტის ფარგლებში გამწესდებიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული პროფესიის მაღალი რეპუტაციის მქონე წარმომადგენლები.

(ბ) არ დაუშვას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად იმ კანდიდატთა გამწესება, რომელთაც წლების განმავლობაში ეკავათ და უკავიათ ხელმძღვანელობითი პოზიციები სასამართლო სისტემაში და პასუხისმგებლნი იყვნენ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაცვასა და ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების დამკვიდრებაზე;

(გ) შექმნას იმგვარი სამართლებრივი მექანიზმი, მათ შორის „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი პროფესიული რეპუტაციის, კეთილსინდისიერების და პიროვნული სიმტკიცის მქონე არა მხოლოდ მოსამართლეთა, არამედ ადვოკატთა, მეცნიერ-იურისტთა და იურიდიული პროფესიის სხვა ღირსეულ წარმომადგენელთა უზენაეს სასამართლოში გამწესების შესაძლებლობას, სანდო, გამჭირვალე და ობიექტური პროცედურის საფუძველზე;

(დ) შეიქმნას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა მოსმენისა და შერჩევის იმგვარი ფორმატი, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატთა ასოციაციის, აკადემიური წრეების და სამოქალაქო საზოგადოების ქმედით ჩართულობას კანდიდატის პროფესიული რეპუტაციისა და სამოსამართლო თვისებების შეფასების მიზნით;

(ე) განისაზღვროს წესი, რომლის მიხედვითაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად ერთი და იგივე პირის პარლამენტისათვის წარდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთხელ;

(ვ) იმსჯელოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სამოსამართლო თანამდებობებზე კანდიდატთა უვადოდ დანიშვნებზე მორატორიუმის მიზანშეწონილობის თაობაზე.